თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

თავმჯდომარის ოთარ გრიგოლიას ანგარიში

2025 წლის
ანგარიში

საქმიანობის შესახებ ანგარიში მოიცავს 2024 წლის 1 ნოემბრიდან 2025 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდს.

- მე-7 მოწვევის საკრებულოში, გახლავართ ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;
- ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი;
- ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის წევრი.

❖ ფ რ ა ქ ც ი ა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - ფრაქციის თავმჯდომარე

მე-7 მოწვევის საკრებულოში, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ 27 წევრისგან შედგება. იგი საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა მიერ უფლებამოსილების ეფექტურად განხორციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით შეიქმნა. ჩვენი საქმიანობა ეფუძნება საჯაროობის, დამოუკიდებლობისა და თანასწორობის პრინციპებს და ძირითად მიზნებსა და ამოცანებს წარმოადგენს: ქ. თბილისის მოსახლეობის მიერ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ გარანტირებული უფლებების განხორციელება; დემოკრატიული ღირებულებების, საერთო–სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ინტერესების გათვალისწინებით, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის საჯაროობისა და გამჭირვალობის უზრუნველყოფა; მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვის მკაცრი კონტროლი, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრიობის განსაზღვრა და მის განკარგვაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ფრაქციის წესდების გათვალისწინებით, ფრაქციის სხდომა იმართება თვეში მინიმუმ ერთხელ, სადაც განიხილება დედაქალაქში მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხები, რის შემდეგაც მზადდება რეკომენდაციები, რომელიც შემდგომში საკრებულოს სხდომაზე, ერთიან, შეჯერებულ პოზიციაში გამოიხატება.

დედაქალაქის მუნიციპალიტეტში მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე, ფრაქციის ფორმატში კოორდინირებულად ვთანამშრომლობთ თბილისის მერთან და დედაქალაქის მთავრობის წევრებთან, სადაც ხდება მათი საქმიანობის შესახებ ანგარიშების მოსმენა და შეფასება;

საანგარიშო წლის განმავლობაში (ოქტომბრის თვის ჩათვლით), ფრაქციას ჩატარებული აქვს **17** სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა **30** საკითხი.

❖ საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა

საანგარიშო პერიოდში, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა საკრებულოს 16 სხდომა, მიღებულ იქნა 742 განკარგულება და 104 დადგენილება. (განხილული საკითხებისა და დადგენილება/განკარგულების შესახებ ინფორმაცია

შეგიძლიათ იხილოთ თბილისის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.sakrebulo.gov.ge.

ოთარ
გრიგოლია
ზურაბ
აბაშიძე

➢ ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია - კომისიის წევრი

კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში 2024 წლის 1 ოქტომბრიდან მ/წლის 13 ოქტომბრის ჩათვლით
ჩატარებულ იქნა 16 სხდომა .
კომისიის სხდომებზე განხილულია დღის წესრიგით გათვალისწინებული 342 საკითხი.
საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული
და შესწავლილი იქნა, ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის #39-18 დადგენილებაში
განსახორციელებელი ფუნქციური ზონის 219 ცვლილება (დადებითი 218, გადაიდო 1).
კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და დამტკიცებულ იქნა
განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების, განაშენიანების რეგულირების
გეგმის პროექტებისა და განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმების 184 (181
დადებითი, 3 გადადებული)
კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების
რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით დამტკიცებულ იქნა - 71 პროექტი (69 დადებითი, 2
გადადებული)
დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გაიცა 25 პროექტი.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების
წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24
მაისის №14-39 დადგენილებაში შევიდა ცვლილებების 7 პროექტი.
ასევე კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა 39 დადგენილების სხვადასხვა პროექტი

- **სარევიზიო კომისია - კომისიის წევრი**

საკრებულოს სარევიზიო კომისიის მიერ 2025 წლის 28 იანვარს დამტკიცებულ იქნა 2025 წლის სარევიზიო კომისიის სამუშაო გეგმა, რომლის თანახმადაც, წლის განმავლობაში კომისია თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების საფინანსო საქმიანობის შემოწმებას, დასკვნების შედგენას და რეკომენდაციების გაცემას ახორციელებს. დამტკიცებული გეგმა მოიცავს შესამოწმებელ ორგანიზაციებს, მათ

შორის თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ების, ააიპ-ების და შპს-ების შემოწმებას შერჩევითი მეთოდით.

„სარევიზიო კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში დაიგეგმა და შემოწმდა 11 ორგანიზაცია. შემოწმებულ ორგანიზაციებზე, შემოწმება-ანალიზის დასკვნიდან გამომდინარე, გაცემულ იქნა რეკომენდაციები. ამასთან, კომისიის გადაწყვეტილებით, შემოწმება-ანალიზის დასკვნები დამატებითი გამოკვლევისა და შესწავლის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, ლევან ჯაფარიძის მიერ გადაგზავნილ იქნა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურში. განხორციელებული შემოწმებების შედეგად აღმოჩენილი დარღვევები ორგანიზაციების მიერ ხშირად არის გათვალისწინებული რეკომენდაციების სახით, რასაც ადასტურებს დასკვნებთან დაკავშირებით შემოწმებული ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი წერილობითი მოსაზრებები, რაც შემდგომში ასახულია მათ გამოსწორებულ საქმიანობაში.

სარევიზიო კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ იქნა კომისიის 14 სხდომა, რომლებზეც განხილულ იქნა 39 საკითხი.

❖ აქტივობები

- ✓ 2025 წლის 24 თებერვლიდან 26 თებერვლის ჩათვლით, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, ბატონი ზურაბ აბაშიძესთან ერთად ვიმყოფებოდი ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესზე, რომელიც გაიმართება 2025 წლის 25 თებერვალს, ქ. სტრასბურგში (საფრანგეთი). გარდა ამისა, 24 თებერვალს გვქონდა შეხვედრები ევროსაბჭოს წარმომადგენლებთან.

- ✓ 2025 წლის 14 ოქტომბრიდან 2025 წლის 19 ოქტომბრის ჩათვლით, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარესთან ლევან აბაშიძესთან ერთად ვიმყოფებოდით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ქალაქ ქსიანში.

- ✓ 2025 წლის 27 ოქტომბრიდან 28 ოქტომბრის ჩათვლით მონაწილეობა მივიღე ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის 49-ე სესიაში ქ. სტრასბურგში (საფრანგეთი).

ანგარიში 2025